



# მეცხრე



სსუოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი კასეთი.

6 აპრილს

გ ა მ ო . ი ც ე მ ა

№ 14

კვირბო

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სემი (3) მანეთი, სხვა ვადით სელის მიაწვრს ან მიიღებს. ცალკე სომეტი „თეატრი“-ს დირს სანა შაურა. სელის მიაწვრს მიიღებს: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭიდაძეების წიგნის მდარსიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлиси. Въ редакцію „Театръ“.



## გაზეთი „ივერი“ და მისი მხა.

(დასასრული \*)

მართი სიტყვით, სად გინდათ, რომ შეცთომას არ იყოთ: ყოველ განყოფილებაში რედაქციის უმცირეობა იხატება შესახებ ქაროული ენისა და მისი გრამატიკისა. სხვა ათას შეცთომას თავი დავანებოთ და დასასრულ მხროლდ ერთი მოვიხსენიოთ. მართი ზმნა „ივერიის“ რედაქციისაგან წამებული და საბრალოს ლამის ტყავი გააძრონ. მს ზმნა ვახლავსთ „აღსარება“. მართი დიაკონი სწერს „აღვიარება“, მეორე — „მიღიარება“, მესამე — „აღვიარებული“, მეოთხე — აღვიარებული და სხ. საკვირველია, ამდენმა უმცარმა დიაკონმა როგორ მოიყარა ერთათ თავი? შბრალო სოფელი დედელი კანონიერთა ხმარობს ამ ზმნის ფორმებს და თქვენ რა ღმერთი გავიწყრათ, დიაკვნებო? ნუთუ სულ საკუთარი სამოციქულო გიკირავსთ ხელში? მრწამსი მაინც არ წავიკითხავსთ? იქა სწერია: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა“. — აღსარება: მიმღობა: დასარკუბული, და არა „აღვიარებული“!.. მართი საპატია პირი ამ ზმნის მიმობრის გავზაენას აპირობს „ივერიის“ რედაქციაში დიაკონთა საგულისხმობთ და ამიტომ მე აღარ განვაგრძობ.

სასაცილოა, რომ ამისთანა უმცარმა პირებმა სხვებს ენა გაუსწორონ და გრამატიკის უცოდინარობა შესწამონ! ამ სტრიქონების დამწერმა „ივერიის“ რედაქციის ერთი სტატია გაუგზაენა და იმ პირობით, რომ ენა შეუცვლელათ დეტოვებით, მაგრამ პასუხათ აი რა მიიღო: თქვენს თხოვნას ვერას გზით ვერ დავაკმაყოფილებთ, რადგანაც გრამატიკაში სუსტი ბრძანდებითო, და სხ. მაგრამ ისიც ენახოთ, თუ რაში პოულობენ დიაკვნები სისუსტეს: მას აქეთ, რა რამ ვინ გაიგონაო, რა თუ არის, რამ რის მაჩანჩალაო და სხ. ღვეთიანში ერთი პატარა თავი (იზ) გარდავიკითხე და იქაც კი ენახე დიაკვნების შენიშვნის გამაქარწყლებელი საბუთი. დიაკვნების დაწუნებული რა რომა იმისთანა პოეტს უხმარაო, რომ „ივერიის“ რედაქციის მთელ კრებულს იმის ფრჩხილშიაც არ გავცელი (რა ჯანდაბათ მინდა? ნეტაი ეკანსია დაიცლებოდეს; ქვეყანა გაიწმიდება ამ უმცარი დიაკვნების თავიდაც მოშორებით). აი როგორ სწერს ბურამიშვილი ხსენებულ (იზ) თავში:

„აწ მეორედ მეფე მახტანგ, რა რომ ყვენს შეასმინეს, მითქმის ასე განარისხეს, კკუისაგან შეცდინეს“.

მაგრამ დიაკვნები, ვიცი, ამას იტყვიან: ჩვენს სამოციქულოში ეს არ გვინახავსო და, მაშასადამე, უკანონაოა! აბა, დიაკვნებო, ხალხს მაინც დაუჯერეთ, რომელიც წამ დაუწუმ ხმარობს ამ კავშირს.

\*) იხილე „თეატრი“ № 13.

რა რომ იგრევე იხმარება, როგორც თუ რომ (მაგრამ იქნება დიაკვნების გრამმატიკაში არც ეს ეწეროს?)... არა, დიაკვნებო! რომ აქ კანონიერათ არის ნახმარი, და თქვენს ნაჯღაბში კი ეგ რომ წამ და-უწუმ მაჩანჩალაც არის და მატრაკეციტ. № 32-ის მოწინავე სტატიაში თქვენა სწერთ: «პირველად ესა, რომ ავტორი სხვა ადგილას იმას ამბობს, რომ „-ო და სხვ ამდენი რომ ნეტაი კეთილზმოდანებისთვისაა ნახმარი? აი ნამდვილი მაჩანჩალა თუ გინდათ, ეგ არის!.. დიაკვნები კიდევ მისწორებენ მე გრამმატიკას: „სწამლავს“ კი არა „ქსწამლავს“ უნდაო!.. ნამდვილი დიაკვნური შენიშენა! დიაკვნებს ძველ სამოციქულოში უნახავს ამ გვარი მართლწერა და ასე უნდაო! არა, დიაკვნებო: „ქსწერს“ კი არ უნდა, არამედ „სწერს“, „ქსტქვა“ კი არა, არამედ „სტქვა“, „ქსწამლავს“ კი არა—„სწამლავს“. კეთილ ზმოდანებისათვის აქ ასო ს არის და ეგ სრულიად საკმაოა, და კიდევ მიწებებული: მაჩანჩალის უმაჩანჩალესი იქნება... მაგრამ არ გაემტყუნებათ დიაკვნებს: ისინი მაჩანჩალობას ერთბაშე შეჩვეულნი არიან, ხუცებთან ჩანჩალაში და აბგების თრევაში გაუტარებიათ მთელი სიცოცხლე ..

აი სულ ეს ორი სიტყვა უნახავს ბატონს და დიაკვნებს მთელს გრძელ სტატიაში და ამის გამო აღუარებიათ ჩემი უცოდინრობა ქართული გრამმატიკისა! მაგრამ გონიერი მკითხველი ადვილათ დანახავს, რომ «ივერიის» რედაქცია თავისი შენიშენით თავისსავე უმეცრებას ამტკიცებს. ამაზედაა ნათქვამი: «ვირმა პალო მოგლიჯა: ერთი წიხლი სხვას ჰკრა და ათასი თვით იკრაო» (მე ანდაზას მოგახსენებთ; პიროვნებას არ ვეხები).

მართი შეტომა კიდევ უნახავს დიაკვნებს ჩემს სტატიაში: „წამლავთა სწამლავს“ არ ითქმისო!.. არ ითქმის, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ «ივერიის» სამოციქულოში არ სწერია, თორემ ეს ხომ ითქმის: «კაცობრიობის დიდებულთა ნაღვაწთა თირკმლები გაუსინჯეთა-ო?»!

როგორ ჰუიქრობ, მკითხველო? მინ ყოფილა უმეცარი გრამმატიკაში: მე, თუ მთელი კრებული «ივერიის» დიაკონთა? მიეტყვება, თუ არა, ამ გვარი უმეცრება იმისთანა სახელ-განთქმულ ბატონს, როგორც არის „ივერიის“ რედაქტორი? მე მგონია, დამნაწავეთ უნდა აღსარებულ-იქმნას იგი და უნდა დაისაჯოს. სასჯელათ მე ჩემის მხრით ეს ამომირჩევია: ერთი კვირის განმავლობაში მაინც აეკრძალოს ქალაქის თამაში და თვეში ერთხელ მაინც შეიტყოს წინ-და-წინე, თუ რა იბეჭდება გაზეთში. მაშინ, დარწმუნებულნი ვართ, (ამიტომ რომ ილია ჩვენ ჰქვიან კაცთ მიგვანჩია) ხონელების ამდენ აქია-

ბაქიაობას ცოტათი მაინც ფრთა შეეკეცებოდა, თორემ ლამის ხონელების ორგანათ გადიქცეს ეგ „ივერია“ (ვაჟა ხონელა არ უშვებს ერთ სიტყვასაც, სადმე მის წინააღმდეგ თქმულს, და ავსებს გაზეთის ჩალაბულათი)... მართი სიტყვით, «ივერიის» რედაქტორი, ჩემის აზრით, ასეა თუ ისე, უნდა დაისაჯოს. მე უფრო ადვილათ მიუტყვევებ უმეცრებას იმის დიაკვნებს, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმონან.

ჩვენ იმიტომ გავაგრძელებთ ბაასი ვაზ. „ივერიაზე“ და იმის ენაზე, რომ დღეს ჩვენში ეგ არის ერთ-ერთი გაზეთი სრული განყოფილებით; უფრო კიდევ იმიტომ, რომ ის გამოდის ოდესმე ჩვენში სახელგანთქმული პირის რედაქტორობით. ამ გვარს მოთავე პირს ყოველთვის სხვებზე მეტი უნდა მოეთხოვოს, რადგანაც საზოგადოება სახელ-განთქმულ პირს ბრმათ მიჰყვება და უჯგურებს და, მამასადამე, ადვილათ შევა იგი შეტომაში. თუ თვით მეთაური შემცთარია. ასე დიდხანს იმიტომ შეეჩვილით გაზეთის გარეგანი ღირსების დაფასებაზე, რომ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ შინაგან ღირსებასთანვე აგრეთვე გარეგან სიმშვენიერესაც. რაც უნდა გემრიელი და მარგებელი საქმელი მოგართვან, თუ ის ბინძურათ არის შემზადებული და ბალნითა და ხიწვებით სადგე, უთუ-ოთ შეგვიზღვებთ და, დარწმუნებული ვარ, არ მიირომევეთ («ივერიის» დიაკვნების კი რა მოგახსენოთ: ისინი არც გემოს დასდევენ და არც სწიმიდეს, ოლონდ კი ბატონის აბგა გაავსონ და სადავითნო თითო-ორორი შაური აილონ!). ამ გვარივე თვისება აქვს კაცის აზრსა და სიტყვასაც: რაც უნდა ღრმა იყოს იგი და დიდმნიშვნელოვანი, თუ მახინჯი ფორმით არის გამოხატული, თავის მნიშვნელობას და გავლენას სრულიად ჰკარგავს. მე ასე არის და ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ რას იტყვით იმ შემთხვევისას, როდესაც შინაარსიც მახინჯია და გარსიც, როდესაც აზრიც უხეიროა და ფორმაც ძველთ-მომტეხი? მე მგონია, ამ გვარი ყველაფერი საიქიოს უნდა გაიგზავნოს, —საიქიოს, სადაც ცოდველნი განისვენებენ, სადაც არის კუთუა და ღრქვენა კბილთა...

მაზეთის «ივერიის» გარსზე ჩვენ საკმაოთ ელაპარაკეთ. შევეხოთ ახლა შინაარსსაც.

ღაფიწყოთ ისევ მოწინავე სტატეებიდამ. რას წარმოადგენს ეგ სტატეები? მეთაურისტმა უკვე გამოაცხადა, რომ ჩვენ შინაურ კითხვებს ვერ შევეხებით, რადგანაც იმათი არც ალიანი გვესმის და არც ჩალიანიო!.. ძარგია, შენმა მზემ! საქართველოში გაზეთი გამოდიოდეს და მარად ბისმარკ-ზლადსტონებით გიქქვადეს ყურებს! მართი კვირის განმავლობაში სულ ბისმარკ-ბასმარკ-ბისმარკიო, გაიძახის მეთაუ-

რისტი, და როცა შეატყობს, რომ ჰა—ახლა გავაძრე ტყავიო, მისდგება მერმე ბლადსტონს ან ჩამბერლენს და ვაი მათი ბრალი. ბულსა და მავარას არ შეარჩენს და თირკმლებსაც სულ ერთიანათ აუფორიაქებს! ან კიდევ მოჰყვება ფილოსოფოსობას მუ და შეს-ზე და როტავს და როტავს...

ნაკვესი რალა ფრინველია? ამ განყოფილებისათვის უმთავრესი ადგილი მიუნიჭებია რედაქციას და უხვირო რამ კი არის: სამი თვე გავიდა აგერ და, კარგათ რომ დათვალო, სამი მარლიონი ოხუნჯობაც არ ყოფილა შიგ: ყოველივე სულელური სიტყვა ან ყოველივე ქემმარტება „ივერიის“ რედაქციას ოხუნჯობა ჰგონებია... მე ლელო მაინც, რომლის ინიციატორობითაც დაარსებულა ეს განყოფილება, სულ დაიჩრდილა სხვა მენაკვესებისაგან და, მადლობა ღმერთს, გააძვირა უმარლო ნაკვესების ბეჭდვა, თითქო ვისმე გაეჩუმებოდა ის ამ სიტყვებით: «სუ, ლელოვო!»

ახლა ნარკვევიც გავსინჯოთ. ამისთანა ადგილი რა არის: აილე, დიაკონო, რომელიმე გაზეთი და გადმოთარგმნე იქილამ ის, რაც შენ, დიაკონო, მოგეწონება (სხვის გემოვნებას და საჭიროებას რას დასდევ?) მავალითებრ რამდენი სულელობა ჩაუდენია შელდმანს პეტერბურგში, ან რა «მნენიების» არის «სარატოვის ფურცლები აქსაკოვზე და სხვა სულელობა. თარგმნაც ხომ ძლიერ გეადვილებათ: გრამმატიკა არ არსებობს თქვენთვის და არაერთი კანონი, — მაშასადამე სთარგმნე და სთარგმნე. აქ ხომ გარდაღეკვა და გამოცოხნაა მხოლოდ საჭირო იმის, რაც სხვა გაზეთებს ათას ჯერ დაუღეკიათ!..

ბაზეთი მაშინ წავა ხვირინათ და იქონიებს გავლენას, როცა ორი-სამი პირი იმისთანა სწერს შიგ, რომ კმაყოფილებით მოელოდები იმათ სტატიებს. „ივერიის“ თანამშრომელ-მწერალთა გუნდი შესდგება სულ ერთი პატრიარხისა და სამი ოთხი დიაკნისაგან. პატრიარხის რა მოგახსენოთ და დიაკნები კი ყველა წყალ-წასაღებია. მე კარგათ ვიცნობ ამ დიაკნებს, რა შეილებიც არიან! მათი არის მეტის-მეტი ლიბერალი, ბურთივით რვეალი, ნათლის-სახელი ღრილორა, მეტი სახელი გოდორა. ეს პატიეცემული დიაკონი არ იხენს თავს, იმალება და კარგათაც შერება: შრომა და გაცემა უნგარო უნდა. მე მართლა დიაკონი გახლავსთ (ხუცოვიჩია, უმჯობესია ესთქვათ—ნადიაკნარი, რადგანაც დიაკნობაზე ხელი ააღებინეს, იმიტომ რომ საწიგნეს თურმე ვერ სწვდებოდა მეტის-მეტი სიღამლის გამო. ახლა «ივერიის» რედაქციაშია, რადგანაც იქ არის ყოველ უადგილო დიაკონთა თავშესა-

ფარი ალაგი; ჰკითხულობს იქ ლავითნს და სადავითნოს ორ-ორ ბისტს იღებს.

მეორე დიაკონი (ესეც ხუცოვიჩია)! უფრო გამბედავია: ეს ხან-და-ხან მაინც გამოჩნდება ხოლმე კუდიან ვარსკვლავსავით ი. ალექსანდრიძის ფსევდონომით. მე ის პირია, რომელმაც პეტრეს ქალაქში სულ ყურები გამოგვიქექა მამულ-დედულისა და ჰაი-ჰუის ძახილით, ბევრი თესლი მოაბნია ლიტერინ—ნეესკი—სრედნე მეშჩანსკის ქუჩებზე და შემდეგ ქალაქ ორლოვს გადაებარვა ქრისტიანობის თესლის მოსაბნევათ, მოახჯულა იქაურებიც და ახლა «ივერიის» რედაქციაში ზის იგი, ვითარცა «სვერხშტატნი დიაკონი»

აქ, შუაში, ანგარიშით კიდევ არის ვილაც ორიოდ დიაკონი, მაგრამ იმათ თავს ვანებებთ და პირდაპირ ხონელ დიაკონზე გადავდივართ. მე სულ სხვა ნაირი დიაკონია (ესეც ხუცოვიჩია!), ამას ტოლი-ბაღალი არა ჰყავს. კარგათ იცნობს იმას მკითხველი, რა მწერალიც ბრძანდება, მაგრამ რიგი მოითხოვს, იმასაც ვუთხრათ ხოტბა. ბიოგრაფიულ ცნობებს ყოველი მწერლის ცხოვრებაში ღიდი მნიშვნელობა აქვს, და ამიტომ მოკლეთ მოვიხსენიოთ ამ დიაკნის ბიოგრაფია. ეს დიაკონი პეტერბურგში იჯდა ოთხიოდე წელიწადი, იჯდა მშვიერი და მწყურვალი, ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გამძღარიყო... ბოლოს „ივერიკო“ დაიძახა, მივარდა „სტრეკოვასა“ და „ასკოლკებს“ და დაიწყო ამა მეცნიერულ თლუზულებათა კითხვა: თან სიბრძნეს იძენდა და თან სიცილ-ხარხარში შიმშილი ავიწყდებოდა. აი აქედამ და ასე დაიწყო მისი სწავლა-განათლება, ამ გვართ განვითარებული ჩამოვიდა სამშობლოში და ხან რუსებს სთოკავს «მჭევრ-მეტყველების კანაფისაგან დაგრეხილის გრძელი ბაწრით» და ხან ქართველებს... ეს დიაკონი ძლიერ დაკვირვებული მწერალი გამოდგა: მავალითებრ ის ხშირათ ცირკებში დადის და ოთხფეხ ცხოველებს კულებს უსინჯავს და ამბობს, რომ მათ ნამდვილი კულები არ აბიაო და სხ. (იხ. სახელდახელოში ანუ წყალ-წასაღებში)... ხონელი დიაკონი «ივერიისა» ცხარე ცრემლებით სტირის, ჰგოდებს და წუწუნებს: რედაქცია ვალად მდებს სტატიები წარუღვინო და მე კი არ ვიცი, რა დაესწეროვო... ბინდა თუ არა, წელზე ფეხი უნდა დაიბჯინო, ილაჯი გაიწყიტო დასწერო და სწეროვო!.. და ხონელიც იწყევტს ილაჯს, მაგრამ კი არ სწერს და სწერს, არამედ სჯღაბნის და სჯღაბნის, ყბედობს და ყბედობს, აქიაობს და ბაქიაობს... მე თქვენ გეტყვით და მასალა გამოვლევა ამ გვარ მჯღაბნელთ. სანამ კულები არ დაიღვევა ქვეყანაზე და მჭევრ-სტულელობის კანაფი,

ხონელის მსგავსი მჯღაზნელი ყოველთვის შეიძლება ბაწრების გრეხას.

მითს უკანასკნელ ფელეტონთაგანში ხონელი გულწრფელათ აღიარებს:

„Еще одно последнее сказание—  
И летопись окончена моя“.

მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ეს ეპიგრაფი ამ გვართ მოეწინა:

„Всё глупости я выложил наружу—  
И летопись окончена моя“.

ხონელმა შარშან დაასრულა თავისი „მატიანე“, დაასრულა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა. რაც რამ წყნარ თავში, სულ ორი თვის განმავლობაში გადმოაღივებდა და მისცა გაზ. „დავკაზსა“ და „ღროებსა“ „ფიქრნი თვისნი შაკად-მღელეარნი.“ ამას შემდეგ ბ. ხონელს სხვა აღარაფერი დარჩენია, კუდებილა დარჩენიდა დაუთვლელი და გაუსინჯავი და ისინიც გასინჯა,—აწ კი ვურჩევთ ისევ ხონს, თავის საგაზდილოში. წავიდეს და აბგასა და ღვეთნს მოჰკიდოს ხელი.

ბი სულ ეს დიაკვნები შეადგენენ გაზ. «ივერიის» უნჯსა და განას (დონ-ენ-ზე არაფერი ცუდი არ გვეთქმის: ეს ერთობ ხერხიანი და ხელოვანი მეფელეტონა, ენაც მარტივი აქვს, მხოლოდ გრამმატიკაში ისიც სუსტობს).

მკითხველო! ბელს ხელნი დაიკრივე და გულწრფელათ თქვი: რა უნდა შეიძინოს და ისწავლოს გაზ. «ივერიაში» ან ანბანთ-მწყურვალმა და ან ინტელიგენტმა? რით უნდა დაკმაყოფილდეს მკითხველი: ამ არეულისა და ავლბარულის ენით, თუ უმცარე დიაკვნების მეცნიერებით?

სანამ თქვენგან პასუხს მივიღებდე, მე მსურს შესხვა ეუთხრა ბატონს და შეეაქო მისი დიაკვნებიც.

ბ ა ტ რ ა ნ ს

მფიქრობდით: კვალად იღვიძებს პირი მამულის-შვილია!.. მაგრამა შეესტით: დამკირდა, ნუ უყრით ასაკენკლად!.. დიაკვნებს აჰყდა ილია!

რაც ძალ-გიძს, იგი ავეთ,  
მეტს ნურვინ ითხოვ ქვეისაგან:

«საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს  
ქაცისა მამაცისაგან».

დ ი ა კ ვ ნ ე ბ ს

(დავითიანი: გვ. 51, თავ. ის; გეგეს.-ტეფოსანი და სს.)

მიუხაროდათ დიაკვნებს, საჯღაზნათ გაჩაფრულდება: «ღვეჯღაზნინებს ილია, ვიშოენით მრავალ ფრულდება!

მისაც გესურს, იმას ვავინებთ, ვავიდებთ ლანდღვით გულებსა...

ბედი გვეწია: საცაა, ახლა ვიცხონებთ სულებსა“. ხონელმა ეგ სთქვა: მეშველა, ახლა ვავიდები პურიოთა. ბოდორამ: თვეზით ვავესკდები ზურგიელ-გელაქნურიოთა.

აკოვამ: „მივიბრუქები ღვინით ჰავეჰავაძურითა.“ სხვათა სთქვეს: „დაზე ამ წუწუკებს, სულ სათრევა ყურითა“.

იწვია ყველა ილიამ (სმა-ქამას შერეველი!), ბაუმასპინდლდა ქართველებერ, ვადუშალა გულია, შთხრა: სვით, სჰამეთ, ნუ გრცხენისთ, ეგებ მოითქვით სულია... „სმა ქამა დიდად შესარგი, დება რა საფარგულია? რასაცა შესქამთ—თქვენია, რაც არა—დაკარგულია!»

აღვა სიტყვისა სათქმელათ ხონელი დიაკონია: „ღვეითნში ასე სწერია: «სჰამეთ, სვით შესარგონია». მე ამისთანა ვახშამი \*) აროდეს არა, მქონია: ხონში სულ მჰადმა დამახჩო, ოი დაიქცეს ხონია!..“

ილიკო უხვობს: გამოსკდენ მშიერი ხუციშვილები, მაგრამ მეტის ყბის ქნეითა სულ დაებლავათ კბილები. მერვის უკბინეს კბილ ბლავეთა, შეიქნენ დაღრეჯილები... სხვებს მოუქნიეს, თვით იცეს, თვით დარჩენ დაბეგვილები... მოჰყვენ აკია-ბაქიას, ზედ დართეს ქორი ტყვილები.

\*) დაბალი ხარისხის სტუმრებს, როგორც ვგმენია, ილია ვახშამთ ჰჰატიჰობს, სადილათ კი თურმე სულ სხვა სორტიზ, «ზაგანანჩის» სტუმრები ჰეავს ხოლმე მიწვეული.

სიტყვით მამაცნი, საქმეში გამოდგენ ბალღნი, ჩვილები...  
აღლახო! მეწყერს მიეცი მსგავსი მამულის-შვილები!

სალაგან.

ქ ქუთაისი.  
მარტის 23-ს.

ახალი ამბები

◆ ჩვენ შეეიტყეთ, რომ თბილისში აღმოჩენილა ერთი ძველი ხელთ-ნაწერი წიგნი, სადაც მოხსენებულია შოთა რუსთაველის გვარიო. ამ საგნის შესახებ „თეატრის“ ნომრებში მალე ერთი წერილი დაიბეჭდება, სადაც განმარტული იქნება შოთა რუსთაველის ნამდვილი სახელი და გვარი.

◆ ბ. ანდრია ბენაშვილისაგან შედგენილი ნოტები უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა, რომლის ეგზ. ფასი 1 მან. და 60 კ. ეს ფასი საკმარისი დიდი ფასია, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ ყველა იმ რთულს საქმეებსა და დამაბრკოლებელ და საწვალეებელს მიზეზებს, რაც კი ამ გვარ ნაწარმოებთა ბეჭდვის დროს ხდება ლიტოგრაფიებში, მაშინ ჩვენ ნათლად დავრწმუნდებით, რომ ეს ფასი ასეთის გამოცემისთვის დიდი არ უნდა იყოს...

◆ ამ კვირას, ფოსტაში კარგა ბევრი ხალხი იყო, ამ დროს ერთ კაცის მახლობლივ ხელების ქნევით გამოიარა მეორემ. ამ გავლის დროს უცაბედად ცალი ხელი ერთ კაცის ჯიბის პირს მოხვდა და პატრონმაც შეიტყო. ამაზე სტატეს ხელი და ეს პირი ჯიბიგირათ აღიარეს. დამნაშავემ კი თავის გამართლება და ბოღნიში დაიწყო, რომ უცბად მომიხდა ესაო.

დასწყველოს ღმერთმა, რა ნაირ შემთხვევას არ წააწყდება კაცი.

ამას წინეთ ამავე ფოსტაში ერთ ურჩის უბიძამ საათი ამოაცალეს და ისიც როგორ, ძეცკვიდამ მოსტარეს.

ჩიტის პიპიპი

სიმღერა ისმის ფრთხილად:  
აწ გაზაფხული დგებაო,  
ქედიდამ ღელე ჩამორბას,  
მთის წვერსუდ თოვლი დნებაო!

სურმუსტის ფოთოლ-ფურცლით  
მწკანდება ტუე და კელიო,  
ყვაკილობს ყველა მტყანარე,  
დგება დრო სანატრელიო.

ღამ-ღამით მოვარე გასკაშობს  
სეტყვად გაბადრულსო,  
და სხაგებს აფრქვევს ქვეყანას  
ჩნებით გამსჭვალულ გულსო.

გაღვიძებული ბუნება  
შეჰსწრის თავის ბედსაო.  
და მას ნიაგა აშიეო  
დასტრევის, უგონის მკერდსაო!..

აწი მეტ ჩქარა მოკეპნი  
ცხოვრების მეტობასაო  
და შეერთებით ტკბილის სმით  
დავატვობთ მთას და ბასრსაო...

დავზრდით ჩვენ შეიღებს, ტკბილ-ტრეობის  
და ღსენის ნაყოფებსაო,  
და მივაბარებთ მათ შემდეგ  
მინდვრებს და ჭალებ-მთებსაო!

ამას რომ მღერდა ფრთხილად,  
მე გული მაღონდებოდა,  
მით რომ მე იმ დროს მომამსგან  
დალატი მაგონდებოდა.

წერილები გუჩიიდან

II

ეს უკანასკნელი ათი დღე, ეჭვა არ არი, შესანიშნავ დღეებსად იქნება შეტანილი აქაურ მატინეში. მოჰკლეს ორი გავარდნილი ფახლი, და ერთიც ახნაური, რომელსაც ოღუქის სასამართლომ ასტრანსანში დასასლება გადაუწყვიტა ათი წლით, მაგრამ ჩსაგრის ღვინოს მიხვედრის ახსნაურმა კასპიის სღვის ომსივარს სამშობლოს მსე არხია და ბოლოს კი თავი ამსკერპლა... ჰირველი ფახლთაგანი იყო ს. მამათელი, საზღაგადა გვესი გოგამე რომელსაც სამსკვარომ გატორღის ბილეთი მისცა ერთი თავადი მოურავის მკვლელობისთვის, მაგრამ ბილეთის დანიშნულებისამებრ წარდგენის მაგიერ, მიჰმართა თავისი სოფლის სშირს ტყეებსა და დრეს, იმაღებდა

მათში დღე-დღე და ღამ-ღამით ეწვეოდა უქმროდ დარჩენილ მანდილოსნებს.—ასე იმაღა თავი რვა წელიწადს.

მეორე, სამი წლის წინად გაყარებული ღოძყარია, რომელსაც აგრეთვე კატორღა ჰქონდა განდაწვევტილი...

მესამეს სვედრი მართლაც შესაბრალისია. ამ რვა წლის წინად წერილ-შვილის პატრონს, მოხუცებულ კაცს უცნებეს მძა, რომელიც თავგატყისილი მივიდა მასთან და შესტირა. გაბრაზებულმა მძამ თავს გამოიღო მძის ტყმა, დახვდა მისს გამდასკველებს სოფლის ვიწრო შუკაში და რაც დღე მისს მძას დააყენეს იგივე დღე მიაყენა მათ. სამსჯავრომ ათი წლით ასტრასხანში დასასვლება გადაუწყვიტა. რამდენიმე თვის შემდეგ უბედურ განმეობათა მსსკერძლმა გაიქცა გზიდან, როცა ოზურგეთში მოწყვდენ ვილანის საქმესე იოწმედ საკითხავად.

\* \*

ამ უამად რომ გურიის დედა ქალაქში შემობრძანდეთ. უთუოდ, ყოველ მხრილამ მოგესმისთ ფურნებთან შეკვ-გუფუფი სხლისს ვერილი: «პური და პური!»—რა ამბავა? მაინცა და მაინც არაფერი—ცოტა რამ გაუგებრობა გასვლავსთ. ადგილობრივმა პოლიციამ სამართლიანად განიზრგა პურის ნისრის (ტაქსა) დაწვევა და ეს არ ეპიტნავათ ბ.ბ. მეფურნეებს და სანასკეროდ შეამცირეს პურის ცნობა. რასაც აცნობენ იმასაც უწინდელ ფასებით (გირგანქა შაურად) ჰყიდიან. პოლიციამ შეუდგინა მათ რამდენიმე ოქმი და სამსჯავროს გადასცა. ჩვენ კი ამას ვიტყვი, რომ თბილისის ნისრთან შედარებით აქ ნასკევარ ფასად მაინც უნდა იყიდებოდეს პური, რადგანაც ყოველ გვარი სარგვი აქურ მეფურნეებს იმის ნასკევარიც არა აქვთ რაც თბილისელებს. მოტანის (აქ მსოფოდ ყირიმის ფქვილს სმარობენ) და ფურნეთა ქირის სიმცირეს რომ თავი დავანებოთ, მარტო შეშის ფასის განსხვავება (აქ საყენი ღირს 7—10 მანათი, თბილისში 30—50 მან.) შეადლებინებს აქურ მეფურნეებს იმის ნასკევარ ფასად ჰყიდიან პური, რა ფასებოთაც თბილისში ჰყიდიან...

\* \*

ვისაც ჩვენი პატრივტემულის პედაგოგის ი. გოგებაშვილის ბუნების კართან დართული რუკა უნდასვას, ის ამოიკითხავდა, სხვათა შორის, რომ გურიაში 50,000 სული ცნობრებსო. ეს ცნობა დღეს ძველ და შემდგარ ცნობად უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც წლეკანდელი ცნობები, რომელნიც შექრება ადგილობრივმა პოლიციამ, გვამცნებს რომ ამ უამად სამოცდა ათი ათასზედ მეტია\*) ყოველ წლობით მცნობრებთა რიცხვი ემატება 1200—1800 სული, მაშინ როდესაც მთელი წასრუ-

\*) დაწვრილებით ცნობებს შემდეგ მოგახსენებთ.

ლი ომიანობის დროს 300—400 პავსუსე მეტი არ დაბადებულა. არ უნდა დავივიწყოთ რომ რვა ასოდე მარტო ოპში დაიხრცნენ და ერთი ამდენი კადეკ, თუ მეტი არა, იმსსკერძლა სსვა-და-სსვა ავადმყოფობამ, რომელიც მიქინარება მათს ჩვენში. მასსადამე ომიანობას არა თუ მცნობრებთა რიცხვის ზრდა შეუძირება, არამედ თვით მცნობრებლთა რიცხვიდან გამოჟგლია იმდენი, რამდენიც გარემობათა ნორმალურს მდგომარეობაში ერთს წელიწადს უნდა მომატებოდა...

ჰ.

### უელეტონი

პისრული

ჩვენს ქვეყანას ზოგიერთი პოეტები უწოდებენ— და სამართლიანადაც—გმირთა ქვეყანას. თუმცა, ჩვენი თანამედროე მელექსე ამბობს:

«ძელავ შეფერხდა ისტორია... და სხ.,

მაგრამ პოეტის უიმედობა ტყუილი ყოფილა და, ძალითა ღეთისათა, გმირთა ქვეყანას გმირები არ ელევია, სიტყვისამებრ წინასწარმეტყველისა, რომელიც იტყვის: «რამეთუ არა მოაკლდეს თავადი იუდას და წინამძღვარნი წელთაგან მისთა!».. ამიერიდგან თორმეტი რიცხვი მარტისა მთელს საქართველოში საღვთსასწავლო ღღედ დაიდება,—და შეიძლება ეს ღღე თავისი მაღალ მნიშვნელობით კიდევ აღემატოს ქართლოსის მოხელასაც, შარნაოზ მეფის მიერ ქართული ანბანის შემოღებასაც და სხვ. რაჟველი მესტიერები ამ ღღის გმირთა საოცარს მამაცობას ვაჰლექსენ და ჩვენს შემდეგ შთამომავალთ ღექსად მოუთხრობენ; დიდებულნი პოეტნი: სკანდაროვი, ბივიშვილი, რიჟან-ოლოი, ზ. ჰიჭინაძე, ანტონ ფურცელაძე და სხვ. უძღენიან მათ თითო ფუთიანს პოემებს, ვაჟა, თუ კაჟა-ფშაველა დასწერს:

«მოხმავთ ღილა გათენდა,  
ღეშიდ მძღვარი ყორნები  
მთის კინკუნებში სხდებიან,—  
ჩაჩქან ასმული ბატები  
საომრად ემზადებიან!»..

მნა მოქნილი „გადიები“ ძილ გამკრთალს და გაჟინიანებულს ბატონის შეილებს ზღაპრად მოუთხ-

რობენ თორმეტი მარტის გმირთა მამაცობას და, ვინ იცის, რომელსამე უდაბნოში განდევნილმა საქართველოს პიმენმა კიდევ შეიტანა თავის მატთანში: და მოუვლინა უფალმან წელსა მას სახმილისასა ბაშიბუზუყთა მწერალთაგან დაჩაგრულს ქვეყანას მხსნელი ახალი-ბებუთოვის ქუჩით და რქვა მას: «ალიღე კვერთხი იგი ხელთა შენთა და წარვედ»... და სხ.

შემდეგ წლებში „ივერიის“ მკითხველი საკალენდარო ცნობებში 12 მარტს ყოველთვის ამოიკითხავს: «ღირსთა მამათა ჩვენთა: ორთა ილიათა, ბრიგოლისა, იაკოფისა, მოლა ბაშირისა და სხვათა დამსთრგუნაეთა ყოველად წყევლისა მის ღავით სოსლანისათა და სხ. და სხ.

\* \*

მართის სიტყვით, თორმეტს მარტს ახალი ბებუთოვის ქუჩა და მთლად სოლოლაკი არა ჩვეულებრივს სანახაობას წარმოადგენდა. ორასი დასტა ზურნის ქყიელი, თართა კენესა, დაფ-დაფთა და საყიერთა ცემა, კამჩთა ყოაყინი, მოზვერთა ზმუილი, ვიერთა ყვირილი, ღორთა ქყეიტინი, ალამთა ფრიალი, ხმალთა ბრიალი, ისართ სრიალი, მაქართ და ჯაიზართა გერგეინვა, ლუარსაბთა ხერინვა, ღარეჯანთა კილეა და ათას ნაირი, კალმით აუწერელი ხმაურობა და ყიყინა ჰაერს ჰხვედა და მიწას ანძრევდა. არამც თუ ფშაფშესურთ, მოხვევითიულთ, კახელთ, ქართლელთ, იმერთ, ოდიშელთ, სვანთა, გურულთა და სხ., აქ შეყრილიყენენ სპარსნი, თურქნი, ეგვიპტელნი, მაშრიყნი და მალრიბელნი. ღვრეფანს წარმომდგარიყო ჩვენი დიდებული პოეტი ილია, წერ წეტსა ტანზედ ემოსა «ჯაჭვი საკურტაკე», თავს ეხურა მუზარადი და ფერხთა ეცვა თეთრი წაღები, ჭინტ შემოგდებული, მუზარადზედ ჰქონდა გადაბურული ყაბაჩა დაუღებელი ფასისა, მარჯვენა და მარცხენა მხარს განუმტკიცებდენ ლომგულნი ალექსანდრიძე და ხონელი, — და სხვა მუშაითთა დასი. ზღვათა აუარებელი ხალხი მათ თაყვანის საცემლელად მოგლეჯილიყო დღეს. ქალი, კაცი, მოხუცი და ყმაწვილი ტაშსა სცემდენ და ვაშა, ვაშას შეჰკიოდენ...

\* \*

სწორედ მოგახსენოთ ღირსნიც იყენენ საოცარნი გმირნი ამ არა ჩვეულებრივი დიდებისა. თორმეტი მარტი ერთსა და იმავე დროს არის გამარჯვებისა და დამარცხების დღეცა გაზ. «ივერიის» რედაქტორისათვის. ესე იგი ჩვენ თვალში და ყველა სხვისაშიაც, ვისაც კი შეუძლიან პირუთნეველად შეზხედოს და შესაფერი სახელი დასდოს საზოგადო მოვლენას,

თ. ილ. ზ...ძის ლილახანა მთლად წამხდარად უნდა ჩაითვალოს; თითონ კი მოლანდებული გამარჯვებით ძალიან კმაყოფილნი არიან და სიხარულის ასკი-კუკუს უფლიან. იმ დღიდან პატივცემულმა პოეტმა უარ-ჰყო თვისი ღრმა და გრძელი მოძღვრება, რომლითაც თითქმის თავი შეგვაწყინა, ლიტერატურულ ზრდილობიანობაზედ, საზოგადო პრინციპების მტკიცე მიმდევრობაზედ, აჰყვა გულის თქმას, ხელთ აიღო შეილდ-ისარი და დაბლა ჩამობრძანდა ჯანყითა და ბურუსით (ბოდიშს ეხდით ბ. ხონელთან, რომლისთვისაც ეს ჯანყი და ბურუსი იმ წითელ მათუდად გარდაქცეულა, რომელიც ისე აფეთიანებს ისპანის ცირკში მოზვერებს!) გარემოცული პარანსილამ საომრად, და რა გამოვიდა? — ის, რასაც რუსულად იტყვიან ხოლმე, რომ гора родила мышь! ჰნახეთ მისი მკლავის ძალა, გამოტყარცნილი ისრის პირი, რაზმათა წყობა, — გულში გაგვეცინა და ესთქეთ: «не такъ страшенъ онъ, какъ его малюютъ! მონადირეს მაშინ უჭირს, მინამ ნადირი სოროში იმალებს, თორემ რაკი მინდვრად გამოიგდებს, მაშინ იმის კამათლები დღეშაშია მოსული.

\* \*

რა მოხდა შემაწრწუნებელი! რისთვის იწუხებს თავს „ივერიის“ რედაქტორი და მთელის თვის განმომავლობაში აწუხებს თავის მკითხველებს, რომელთაც მისს დახლში თუმანი შეუტანიათ? მთუ თქვენი თავდაპირველი განძრახვა ყოველ დღიური გაზეთის დაარსებისა იყო ერთად ერთი პიროვნების უშვერი ლანძღვა-თათხვა, მაშინ თქვენ, საზოგადო მოღვაწედ ცნობილს კაცს, არ უნდა გეკადრათ და საზოგადოებისათვის მიგემართათ ნივთიერი შემწეობისათვის. ლანძღვთ და ათრიეთ, კნიაზო, ვინც გნებავთ, — თუ იმედი გაქვთ, რომ ამ ნაირი თქვენი ვარჯიშობა მშვიდობიანად ჩაგივლით, — თქვენის საკუთარის ხარჯით, და არა საზოგადოებისა, რომელსაც სრული უფლება აქვს მოგთხოვსთ თავისი საუფასო მაგიერ რამე სასარგებლო გრძნობისა და გონებისთვის. სრული უფლება მაქვს გკითხოთ, ბატონო; რომელი უფრო უპატუოსნება თქვენი გაზეთიდან რუსულად გადაღება რომელიმე ფაქტისა, თუ საზოგადოების ხარჯით დაქირავება სხვა-და-სხვა ლაშფანდურა დიაცებისა ერთის კაცის სათათხავად? ღავით სოსლანმა მოგპართ თქვენ რა? სარჩო საბადებელი? — არა. — გულის საყვარელი? — არა. შილოსოფიური, მათემატიკური, მედიცინური გამოკვლევა, თუ პოეტური თხზულება? — არა და არა! მაშ რა? — ის, რომ ფშავლებში ხევისბრობა და წაწლობა ჩვეულებათ არისო და ზედაც

დაატანა: «თუმცა მეც ვიცი მათი ჩვეულება, მაგრამ რადგანაც «ივერიაში» დაბეჭდილი სტატიების ავტორმა, როგორც ბუნებით ფშაველმა უფრო კარგად იცის, ამიტომ მისგან მოგროვილი მასალითა ვსარგებლობო». მარტო ეს არის მისგან ჩადენილი საქმე, რომლის შესახებაც თქვენს მკითხველებს არწმუნებთ: „თუმცა წავით სოსლანი ამდენ ლაპარაკად არა ღირს, მაგრამ მისგან ჩადენილი საქმე იმ გვარია, რომ უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება“. ბატენილს მოგახსენებთ და კანდიდებისთვის ნუ შემრისხნავთ: თქვენის ერთისთვის, ყოველად უსაფუძვლო კამათით წავით სოსლანის სახელობა კი ვერ დამტკიცეთ და მკითხველ საზოგადოებას კი თვალები აუხილეთ და ზოგიერთი ბურუსით მოცული საგანი ცხადად დაინახეთ. მაგალითებრ, თქვენ წათლად დაუმტკიცეთ საზოგადოებას, რომ თქვენ მტრობას და სიმძულვარეს წავით სოსლანისადმი საზღვარი არა აქვს; თქვენ ერთხელ კიდევ დამტკიცეთ, რომ წყალ წაღებული ხაეს ეკიდება; თქვენ დაგვარწმუნეთ, რომ კაცს რომ ღმერთი ვაუწყრება, პირველად ქუთას წაართმევს და სხ. მაშ თუ თქვენ კატონის მოკალაქობას სხემოთ და პურიტანულს მტკიცე ზნეობას, რატომ არ აშკარავებთ საქვეყნოდ იმ ვაჟ-ბატონების ბილწ მოქმედებას, ვისაც თანამოძმის და მთელი საზოგადოების უმეტრებით უსარგებლია და თავისი ჯიბე გაუსუქებია? მისაც კონება და სახელი შეუქმენია ქურდობით, ავაზაკობით, ცბიერებით და ათას ნაირი ავ-კაცობით? მისაც გაუქვლავს და შეუფინებია უმანკო ქალის წრფელი გრძნობა, განუსაზღვრავი ნდობა და ის ღარიბი ბოლოს უგრძნობელი ოქროთ სახეც ტომარაზედ გაუცვლია?.. მანა თქვენსავე მოღვაწეობს ის, ვისაც მართლა თავი დაუფიქრებია საზოგადოების კეთილდღეობისთვის? როდესაც ნაპოლენ პირველი იმპერატორის ტანტზედ ავიდა, ერთმა კარის კაცთავანმა შესხმა მოახსენა და დიდი ფრთები შეასხა მის მაღალ ნიქს, რადგანაც კაცობრიობის ისტორიაში სამაგალითო იყო რომ არტილერიის პოდ-პორუჩიკი საფრანგეთის იმპერატორად გახდა. ნაპოლენმა მწარედ გაიღიმა და უპასუხა: მე ჩემს ბედს მაინც ვემდური, რომ გვიან დავიბადეო, ამიტომ რომ როდესაც აღექსანდრე მაკლონელი ინდოეთში მივიდა და თავის თავი იუპიტერის შვილად გამოაცხადა, ყველამ დაუჯერა და თავიანთი სცაო. მეც რომ ეხლა იმისავეთ მოვიქცე, უბრალო სოფელი დედა-კაციც კი სიცილით მოკვდებო. თქვენთვის, პატივცემულო ილია,

საქიროა ყოველთვის ხელის გულზედა გქონდეთ ეს დაწერილი...

\* \* \*

ბ. ხონელი! ჰმ, ხონელი! სასაცილობაზედ გაღიმეცხა ამ ვაჟ-ბატონის თავხედი გამბედაობა და ეითომ პოლემიკური ვარჯიშობა ჩვენ დაწერილებით ვიცით, როგორც იწერება «ივერიის» თანამშრომლების სტატიები და ამიტომ არას ვიტყვი ამ ლიტერატურულ ყვინჩილაზედ, რადგანაც არა უწყის, რასა ჰშვრება. ან კი რა ითქმის იმისთანა „ლიტერატორზედ“ (აფსუს!), ვისაც ირონია ვერ გაუგია და ბ. მირიანაშვილსა სწამებს „კოპლიკის ხმაზედ სიმღერების გავრცელებასა ქადაგობსო?.. შერთის სიტყვით, რუსეთის გამოჩენილი პოეტისა არ იყოს,

„Стыдить лжеца.....  
И спорить съ иверіищами все тоже,  
Что черпать воду рѣшетомъ.  
Отъ сихъ троицъ избавь насъ Боже!“

მთიულეი.



შეუღილი სიყვარულისაგან \*)

დრამა 5 მოქმედ. ოსზ. დონ-მანუელ ტამისი და პუსისა

აქტი III

ღარბაზი სასახლე-კონეტაბლიაში, ბურგოსში. სცენის სიღრმეში სამი კარება; კარებები აქეთ-იქით მხარებზე. ძარები მარჯვნივ მეფის სასვენებელ ოთახში, მარცხნივ დედოფლის სასვენებელ ოთახში. ორი სტოლი, ერთი მათგანი მარცხნივ დგას ავანსცენაზე.

სცენა I

დონ ხუან-მანუელი, მარკიზ დე-მილიენა, მერე მერე; აღმირალი და რამდენიმე სხვა ღარბაისეღნი, სუყველაზე ბოლოს მარლიანო.

დონ ხუან მანუელი. როგორც გითხარ, მეგობარო პაჩეკო! მე ყველაზე ძრიელ ეს მაკვირებს რომ

\*) იხილე „თეატრი“ № 10.

ამ მოკლე ხანში დედოფალს ასე ძალიან შეუყვარდა თავისი უცნობი მეტოქე.

**მარკიზი.** ამ გვარ საქმეებში არ მინახამს ამისთანა მოხერხებული კაცი, როგორც ჩვენი მეფეა. ღონა ხუანას ძვირად უჯდება თვისი ექვიანობა. ხომ ნამდვილათა გაქვთ შეტყობილი გვარი და სახელი ამ უცხო ლამაზი ქალისა, რომელიც თქვენი წყალობით სასახლეში მანდილოსნად არის მიღებული?

**ღან სუან მანუელი.** სახელი, რომელსაც ღონა-ბეატრისა ატარებს, მოგონილი სახელია; წინად ამას აღდარა ერქვა. მისი ჩამამელობა კი თვით მეფემაც არ იცის.

**მარკიზი.** არ გეშინიანთ დედოფალმა რომ ეს ამბავი შეიტყოს?

**ღან სუან მანუელი.** ის თავის ღღეშიაც ვერ შეიტყობს, რადგანაც აღდარა ჩემს ნათესავად არის სასახლეში მიღებული. იმასთან ერთად ბევრი სხვა მანდილოსნებიც მიიღეს, ისე რომ დედოფალს ვერა გზით ვერ შეუძლიან ექვის აღება. ჩვენ გარდა აღდარას სუყველანი ჩემ ნათესავათა სთელიან.

**მარკიზი.** (ვერეს, რომელიც მეფის ოთახიდან გამოდის) რას იტყვით, ბატონო ვერე, დედოფლის დატყვევების შესახებ? ღათანხმდა მეფე თუ არა გრანდების წინადადებაზე?

**ვერე.** ის ახალი ამბავი არ იყო ისე აღტაცებით მიღებული, როგორც ჩვენ გვეგონა.

**ღან სუან მანუელი.** თქვენ ასე მალე ნუ შეშინდებით. მე ეს ნამდვილათა მაქვს შეტყობილი, რომ ბევრს ხელ-წერილი დაუღვია—ღეხმარონ მეფეს, თუ ეს უკანასკნელი დედოფლის დატყვევებას მოინდომებს. სუყველა ესენი ყოველ გვარ ზომებს მიიღებენ—რომ ხალხი არ აღელდეს.

**ვერე.** მისმა დიდებულებამ უხვი ხელით დაარიგა საჩუქრები და ჯილდოები. ოქროს რუნოთი კასტილიის ბევრი გრანდი გაახარა.

**ღან სუან მანუელი.** საქმისთვის ეს არა კმარა.

**ვერე.** ყოველ გვარ განძრახვათა შესრულებას მისი დიდებულება თქვენს მუყაითობას ანდობს. დედოფლის შემლილობა ძალიან აზიანებს სახემწიფოს რიგინად წინ მსვლელობას. ღონ შილიბეში ქასტილიელები იპოვიან მართლ-მოყვარე და მამაცს მეფეს, თქვენ კი იგი გვეგულებოდეთ მეგობრად, რომელიც მზად იქნება მიიღოს მხედველობაში ყოველი თქვენი ბოძნული რჩევანი.

**მარკიზი.** რასაკერეღია სამართლიანად ინება მეფემ, როდესაც დედოფალი იზაბელასაგან უკანონოთ წართმეული ვილიონის მიწები უკანვე დამიბრუნა.

**ვერე.** თქმა აღარ უნდა რომ მეფეს ძრიელი

მტრებიცა ჰყავს. ბევრი გრანდი ანდალუზიდან უკანაჰუნებს ამას კბილებს; გერცოგი ალბა ხომ ჯერაც იბძვის. აღმირალი...

**ღან სუან მანუელი.** აგერა ესაც...

**აღმირალი.** (შემოვა შუა კარებიდან რამდენიმე დარბაისლებით) ხომ არ იცით, ბატონო, დღეს მეფის დასწრებით რა საგანზე იქნება რჩევა.

**ღან სუან მანუელი.** მეფემ გადასწყვიტა თავისი უბედური მეუღლის დატყვევება და ეს გარემოება უნდა გრანდებს შეატყობინოს და ამისათვისაც დაიბარა ისინი.

**აღმირალი.** დაჯერებული ბძანდებოდეთ, რომ ამ მოუფიქრებელ განძრახვას ცუდი შედეგი მოჰყვება.

**ღან სუან მანუელი.** შურო თქვენი და თქვენი თანამოზიარების განძრახვანი არიან მოუფიქრებელნი.

**ვერე.** მისი დიდებულება თავის მოვალეობას ასრულებს, ბატონო აღმირალი!

**აღმირალი.** სრულიათაც არ არის გასაკვირალი, ბატონო გოჭმარშალო, რომ უცხოელების გროვას, რომელიც თქვენი წინამძღობით მოქმედობს, სურდეს ქასტილიის დალიჯი მეფე შილიბეს საკუთრებად განაღოს.

**ვერე.** რაინდები...

**პარკედი დარბაისელი.** (გამოდის რამდენიმე სხვა დარბაისლებით მეფის ოთახიდან) მეფე ძალიან ბევრსა თხოულობს.

**მეორე დარბაისელი.** ჩვენ ბატონებო, მის განძრახვას ჰკვიანურ განძრახვათ ვთვლით.

**ღან სუან მანუელი.** ღონა ხუანას ველარ შეუძლიან მეფობა. მაშ სხვა ვიღას, ეკუთვნის გვირგვინი, თუ არ ღონ შილიბეს, მინამ პრინცი ღონ ძარლოს მცირე წლოვანი იქნება?

**აღმირალი.** ბაფთხილდით, ბატონებო! მარტო კორტესებს შეუძლიანთ სჯა ამისთანა საჭირო საქმეზე. მალიადელიდის კოსტესებმა ტოროს კოსტესების მიხედვით აღვიარეს დედოფლად ქასტილიისა ქალი-შვილი იზაბელასი და ფერდინანდი ამ ქალაქების წარმომადგენელთ არა სჯერათ ის უსირცხო ცილის წამებანი, რომლების მეოხებეთაც თქვენ იმას დალიჯის წართმევას უბირობთ. ნუ თუ სახემწიფოს წარჩინებული დარბაისელნი უფრო ნაკლებათა სცემენ პატივსა უფლებას? ღონ შილიბესა სურს იარაღით წინაღუდგეს ხალხის სურვილს. ნუთუ თქვენ ხელს შეუწყობთ მის უზურპატორობას და უსამართლობას?

**ვერე.** და თქვენ ამას ლაპარაკობთ სასახლეში?

**აღმირალი.** სასახლეშიაც სიმართლის თქმა საჭიროა; ვისაც ბურგუნდის პრინცის განრისხებისა არ ეშინიან, წამობძანდეს დედოფლისაგან დანიშნულ აუ-

დინციაზე. იქ ყველა დარწმუნდება რომ დედოფალი ღირსია დალიჯისა და ჭკუითაც სუყველა იმათზე მაღლა დგას, რომლებიც ავრცელებენ მის მითომ და ჭკუაზე შეშლილობას...

**მარლიანო.** (დედოფლის ოთახიდან გამოდის) მე ექიმი ვარ დედოფლისა, ყოველთვის მასთანა ვარ და მის აზრსაც ვეთანხმები. (ჩურჩული სასახლის დარბაისელთა შორის).

**ზინგელი დარბაისელი.** აღმირალო, სადარბაზოდ მე თქვენთანა ვარ.

**ქორე დარბაისელი.** ჩვენც.

**ადმირალი.** მე მალე დაებრუნდები, ბატონებო. (მიდის კარებთან, რომელიც სცენის სიღრმეშია, უკან რომდენიმე დარბაისელი გაჰყვებიან)

**მარლიანო.** ღონ ხუან მანუელო, მისმა დიდებულებამა ბძანა რჩევა შეადგინეთო.

**ღონ ხუან მანუელი** მივდივარ შესადგენად.

**ვერე.** ვშოშობ რომ მიზნამდის ველარ მივალწევთ.

**მარკიზი.** ტყუილი სასოწარკვეთილება.

## სცენა II

მარლიანო, მერე დედოფალი და ღონა მღვირა

**მარლიანო.** მე ტყუილს მართალი დავარქვა? ტუდათა მცნობს უსამართლო მეფე! ჩემი შესანიშნავი ამხანაგები ძრწინან მის წინაშე და ზოგნი საჩუქარსაც მეელონ და ამისთვის გაუყიდნიათ სინიღისი; მე ამას ვერ ვიქ.

**დედოფალი.** (ბამოდის მღვირასთან ერთად თავისი ოთახიდან) ნუ ეკვიანობ, ელვირა მეფე ჩემში დაჯერებულია.

**მარლიანო.** თქვენი დიდებულება ეხლა ხომ კარგათა ბძანდება?

**დედოფალი.** ღღეს ეს სამჯერ ვიკითხავს.

**მარლიანო.** თქვენ ჯანმთელობას ქვეყანაზე ყველაფერზე მაღლა ვაყენებ. (დაუკრავს თავს და მიდის.)

## სცენა III

დედოფალი და ღონა მღვირა

**დედოფალი.** ბარწმუნებ, მღვირა, რომ სრული გულის დადება აზიანებს სიყვარულს.

**ელვირა.** ბანიფანტეთ თავიდან, დედოფალო, მაგვარი აზრები.

**დედოფალი.** დიხს, ეხლა შილოზე ჩვეულებაზე უფრო აღერსიანად და ყურადღებით შექცევა და წინანდებურად მარტოკა იშვითად დამტოვებს ხოლმე. მე ვატყობ, რომ კაპიტანს მეფე როგორღაც კული თვალით უცქერის. რა იქნება რომ ამ ამბით ვისარგებლო და მისი სიყვარული ხელმეორედ დავიბრუნო?

**ელვირა.** ბარწმუნებთ რომ თქვენი ქცევა მეტისმეტად გაუფთხილებელია.

**დედოფალი.** რა ბედნიერი ხართ რომ აგრე კეთილ გონიერად იქცევით. ამის უფლებას უბედურება იძლევა და კეთილი მიზანი მოწმობს ამას. ჩვენ ერთი ორად ვაფასებთ იმ სიკეთეს—რომლის დაკარგვასაც ემიშობთ. დეე იმანაც შეიგნოს ის სიფრთხილე, რომელიც არასოდეს არ უგერძნია. ამდენმა ტანჯვამ რა არ მაქნენია და მგონი ამასაც კი მოვესწრო, რომ თავზარი დავცე მისთავმოწმობას. მე მას სრულიადც დავივიწყებდი, მაგრამ მე ეს არ შემიძლიან და არც უნდა დავივიწყო. ეს მარტო ქმარი კი არ არის, იგი მამაა ჩემი შეიღებისა. მისი გულის მოგვება მარტო ჩემი გულისთვის არა ეშვრები, ჩემი შეიღების გულისთვისაც.

**ელვირა.** აღვარმა რომ თქვენი კეცელობა მასთან განმარტოს...

**დედოფალი.** ისე როგორც სასახლის კაცმა? არა, აღვარზე მე ამას ვერ ვიტყვი. საბანაკო ცხოვრება ისე არა რყენის კაცსა, როგორც სასახლეში ცხოვრება. ძეთილი აღვარი მე დედა-კაცად არ მიცნობს, იგი მიცნობს მე დედოფლად. შილოვს ექვი ავალე-ბინო! ასეთი ბედნიერება მთლად გამკურნავდა ექვიანობისაგან.—რა გინდა შენ? მე თავყანსა ესცემ ჩემს მეუღლეს; ეს უბედურებაა, მაგრამ ამის წამალი არსიდ არის. მე მან ბევრი მტანჯა, მაგრამ სუყველა ეს შემინდღია იმისთვის, თუ კიდე არ მამატყუებს. როგორა ჰფიქრობ—გერნანი როდის დაბრუნდება?

**ელვირა.** ღღეს მოველი.

**დედოფალი.** მხლა კი ენანობ რომ მე ის იმ დაწყვილილ სასტუმროში გავგზავნე. ტყუილათა ვფიქრობდი, რომ მეფე იმ ქალს ბურგოსში წაიყვანს მეთქი. მხლა ეს ფეხსაც ველარსად გადასდგავს, რომ მე ვერ შევიტყო. ბეთანხმებით: მე ძალიან ექვიანი ვარ. დარწმუნებული ვარ, რომ გერნარი იპოენის იქ იმ აღლარას, რომელმაც ამდენი მწუხარება მამაყენა.

**ელვირა.** თქვენ ეს მაშინ უნდა გენახათ, როდესაც მისი წყალობით, სასტუმროში ბძანდებოდით.

**დედოფალი.** როდის უნდა მენახა? მაშინ ხომ მეფეს ველარ მოგშორდი, როდესაც ჩემს დასახმარებლად ღონ აღვარი გამოვიდა.

ელჯირა. ღონ ალვარმა რომ მეფეზე ხმალი ამოიღო.

დედოფალი. რომ ვერ იცნო—თუ ვინ იყო იგი, მეფემ შეუნდო იმას და სასახლეშიაც მიიღო.

ელჯირა. მაგრამ მეფეს მაინც-და-მაინც მიზეზი აქვს ღონ ალვარზე უკმაყოფილოთ იყვეს. თქვენ კაპიტანს საფრთხეში ჩაადგებთ—თუ კიდევ მიზეზს მისცემთ—მეფე უკმაყოფილოთ იყვეს იმაზე.

დედოფალი. ბოლოს ყველაფერს გამოვაშკარავებ. რა იქნა ბეატრისა? რატომ აქამდის არ გამოვიდა სალამის მოსაცემით?

ელჯირა. თქვენ როგორ მალე შეიტკბეთ ეს მანდილოსანი?

დედოფალი. მეც არ ვიცი რათ. მაგრამ, არა, ტყუილია—ვიცი. ბაეწითლები და ისე გაგიტყდები... მე ეს მიყვარს იმისთვის, რომ ამას ჩემი ქმარი ეჯავრება. ეს შემთხვევისა დაგვარად უსაყვედურებს ხოლმე მეფეს, ბევრში ვეთანხმები მავას...

ელჯირა. (თავისთვის) ნუთუ მე შემცლარი ვარ?

დედოფალი. (მივა ფანჯარასთან) დაინახე, აგერ მოდის ღონ ალვარი; იგი ჩაფიქრებულია. შექველად ეს თავის დიდებულ სარდალზე ფიქრობს; იგი მულამ იმაზე ლაპარაკობს.

სცენა IV

იგინიე და ალლარა, მემრე მეფე

ალდარა. (თავისთვის) ვის უმზერს იგი ასე გულის დაპყრობით. (დადგება დედოფლის უკან და ესევც დაიწყებს ფანჯარაში ცქერას) ახ, ეს იმას უცქერის, იმას!

დედოფალი. ბოლოს როგორც იყო დაგვენახეთ, სენიორა.

ალდარა. როგორა ბძანდება თქვენი დიდებულება?

დედოფალი. ძარვა, ძალიან კარვა! თქვენ? აუთ ხომ არა ხართ...

ალდარა. არა, დედოფალო!

დედოფალი. მღვირას შემდეგ მე თქვენ ძალიან მიყვარხართ და თანაუგრძობ კიდევ თქვენ ტანჯვას.

ალდარა. მეტის-მეტე მოწყალეება.

დედოფალი. თუმცა კი მე თქვენზე უკმაყოფილოთ უნდა ვიყვე, რადგანაც თქვენ მეფეს არა სწყალობთ.

ალდარა. თქვენ დიდებულებას ჰგონია...

დედოფალი. ბევრნათ—ვერ შევნიშნავდი?

ალდარა. მაპატიეთ... მეცლები გავწორდე...

დედოფალი. სრულიადაც არა! (გაუბედავად) მიპატიებია, მიპატიებია.

ელჯირა. (ჩუმთ) დედოფალო, მისი დიდებულება მობძანდება.

დედოფალი. (თავისთვის) მოვიდა! (მივა ისევე ფანჯარასთან; მღვირა უკან მისდევს)

ალდარა. (თავისთვის) კიდევ იმას უცქერის.

მეფე. (მამაცად გამოდის თავის ოთახიდან) თქვენ აქა ხართ?

ალდარა. (დედოფალზე უჩვენებს) შეჭნედით.

მეფე. (თავისთვის) ახ! დედოფალი!

დედოფალი. ეს—სახეა პატროსანი და მამაცი რაინდებისა.

მეფე. (მივა მასთან) ვისთვის იმეტებთ მაგგვარ ქებას?

დედოფალი. ახ, თქვენა ხართ?

ალდარა. იგი შემფოთებულია...

მეფე. (დადგება დედოფალთან და ფანჯარაში დაიწყებს ცქერას) ეს ღონ ალვარია, მგონი.

დედოფალი. ნამდვილად ის არის.

მეფე. მე მოულოდნელად ველოდი ცნობებს თქვენი ჯანმთელობის შესახებ.

დედოფალი. მე ჩვეულობაზე უფრო კარგათა ვარ (უნდა წასვლა)

მეფე. მიხვალთ?

დედოფალი. თუ სათქმელი არა გაქვს-რა?..

მეფე. თქვენი ნებაა.

დედოფალი. (მღვირას, რომელიც უკან მისდევს) ხომ კარგათ ვთვალთ-მაქცობ?

ს. ნ—თ—ქესი.

(შემდეგი იქნება)



თეატრის

„დეკავა“

(საიქიოდაგას)

გაზეთი «ივერიის» რედაქტორს და მის თანამშრომლებს.

ღიღს მადლობას გიძღნინან ქართულის მკოდნე წინაპრები სიტყვის «მორღილის» შემოღებისათვის. აქ მთელი წინაპართ ძელები შეძრწუნდა და შექვე-

ლია მანდ, სათქვენოშიაც, ბევრს გააწითლებდა «მორ-  
დილი».

ახლა გკითხავთ, როგორც ჩემ კვალში მამყოლს,  
როგორ უნდა იწერებოდეს: მოზდილი, იზდუბით, ვიზ-  
დუბით, თუ (თქვენ მოგახსენებთ ბ. რედაქტორო და  
თანამშრომელნი „ივერიისებურებისანო“) მოზდილი,  
იზდუბით, ვიზდუბით?

ანტონ კათალიკოზი.

წინა გამოცანების ახსნა.

- 1) წურბელი. 2) სასწორი. 3) მაკიკი. 4) საბუ-  
ღარი. 5) ცხვარი. 6) კვერცი.

რედაქტორი და გამომცემელი ი. აბაშიძე.

# განცხადებანი

## ს ტ ა მ ბ ა

### მელიქიშვილისა.

თფლისში—სასახლის ქუჩ., ანწრუნისეულ ქარ-  
ვასლანში, ქართული თეატრის ჩვეთა სართულში.

იღებს ყოველ გვარს სასტამბო საქმეებს საბუ-  
ღავათ: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-  
ვე ყოველ-გვარ ბლანკებს, კვანძებს, სხოტებს,  
განცხადებებს, აფიშებს, პირობებს და სხვ.

სისუფთავსე და ღირსეულ დროსე საქმე  
შესრულესე სტამბა პირობას აძლევს საქმის  
მომტანთ.

სტამბა ვისრულობს ვორეკტურის გასწორებას  
და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის  
მომტენი ისურვებს.

# სააღმომო განცხადება

## ილიჯო სათაროვის შილაშიაში

ანწრუნისეულ ქარვასლანში, თეატრის შესავალ კიბეებთან—მარჯვნივ

ბუღაძე ისე ღება ყოველ გვარი ზაკუსეული

და

სააღმომოთ გვექნება ვასასეიდათ საუკეთესოდ მომხადებელი

## პირინები

(მონარეული და მოუხარზავი)

აგრეთვე საუკეთესო პასაჰი. მსურველთ ამ თავითვე შეუძლიანთ დიკვეთონ რა  
კემოს ზასკაც სურთ.

იხილება იაზად

2—1)